საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/104

" 18 " ოქტომბერი 202 2 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 27^4 მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება განხორციელდეს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით 2022 წლის 20 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი